Rustavservice Center
Digitally signed by Rustavservice Center
Date: 2019.03.18 16:06:45 +04'00'

ხელშეკრულება №39

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. რუსთავი **18 მარტი 2019 წელი**

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ„რუსთავსერვის ცენტრი"** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი გოროზიას** სახით და მეორეს მხრივ **შპს„ჯეო-დეკორ"** (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზაზა ღურჭუმალიძეს** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება"- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „დღე", „კვირა", „თვე"- კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „საქონელი"- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.CPV-**35200000** - საპოლიციო მოწყობილობები-**35250000** - ძაღლების თავდასხმის მოსაგერიებელი საშუალებები.

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ.ფასი	საქონლის ფასი
1	შპრიცი სტაბილიზატორით 3,0 მგ	ცალი	20	70,43	1408,60
2	ინჯექტორული ნემსი 1,5*25 მმ	ცალი	20	32,48	649,60
3	ალიკაპი ტყავის ძაღლის #2	ცალი	2	16	32
4	ალიკაპი ტყავის ძაღლის #3	ცალი	3	19	57
	ჯამი				2147,20

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2147,20** (ორი ათას ას ორმოცდა შვიდი ლარი და 20 თეთრი) ლარს;

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (ლარი);

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე;

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4. დაფინანსების წყარო -2019 წლის სახსრები. 100% - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად, მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

შემსყიდველი მიმწოდებელი

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია **„ა(ა)იპ„რუსთავსერვის ცენტრი"**-ს მიუსაფარი ძაღლების დროებითი თავშესაფარის განყოფილების უფროსი **ელიზბარ თუშური, ა(ა)იპ„რუსთავსერვის ცენტრი"**-ს შესყიდვებისა და ლოჯისტიკის განყოფილების უფროსის მოადგილე **დავით ხიჯაკაძე,ხოლო** მიმწოდებლის მხრიდან **შპს„ჯეო დეკორ"**-ის დირექტორი **ზაზა ღურჭუმალიძე.**

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ქ.თბილისი, ფეიქართა #3.

6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ს ოდენობით;ასეთი უფლებით მხარემ შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა - წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ;

შემსყიდველი მიმწოდებელი

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე;

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13,1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

ხელშეკრულების დედანი შედგენილია 3 (სამი) ფურცლად.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი		მიმწოდებელი
ა(ა)ი პ,,რუსთავსერვის ცენტრი“		შპს ,, ჯეო დეკორ”
მის: ქ. რუსთავი, კოსტავას #20 ს/კ416316016 მიმღებიბანკი: სახელმწიფოხაზინა მიმღებისდასახელება: ხაზინისერთიანიანგარიში ბანკისკოდი: TRESGE22 ა/ა № GE24NB0330100200165022 დირექტორი:		მის: ქ.თბილისი, ფეიქართა #3 ს/კ 401947934 ბანკის დასახელება სს ,,პროკრედიტ ბანკის’’ახმეტელის განყოფილება ბანკის კოდი: MIBGGE22 ანგარიშის ნომერი: **GE86PC0393600100003820** დირექტორი:
გიორგი გოროზია		*ზაზა ღურჭუმალიძე*